



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!!

ლელო

№ 222 (4216)

1970 წ. 12 ნოემბერი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რუსთავში დამთავრდა საქალაქო სპარტაკიადა.

სურათებზე: „ფოლადისა“ და „დინამოს“ კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი; თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვებულ გ. ლოლაშვილს („ფოლადი“, მეორე საშუალო წონა) კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს მეტოქე.

რ. გაბრიელიძის ფოტო.

(სპარტაკიადის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

თევზებზე სწრაფად

პარიზში საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალქვეშ სწრაფცურვაში. მათ 8 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ისინი პირველობდნენ ყველა (17) ვარჯიშში, ამას გარდა, სამშობლოში ჩამოიტანეს 11 სპეციალური პრიზი მდინარე მარნაზე გამართულ მარათონულ გაცურვებში მოპოვებული წარმატებებისთვის.

ეს ტრადიციული შეჯიბრება წლეულს მეშვიდედ ჩატარდა და თავი მოუყარა უძლიერეს წყალქვეშ მოცურავეებს ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან, ლუქსემბურგიდან, საფრანგეთიდან და სსრ კავშირიდან. როგორც მუდამ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მარათონული ცურვა: ქალებისთვის — 3 საზღვაო მილზე (5,5 კმ), ვაჟებისთვის — ხუთნახევარ მილზე (10 კმ, 200 მ).

სპორტსმენები ფარფლებითა და ჰიდროკოსტუმებით ცურავდნენ, მაგრამ 60 მონაწილიდან ყველამ მაინც ვერ გაუძლო ცივ წყალში (პლუს 13 გრადუსი) ხანგრძლივად ყოფნას და რამდენიმემ შეჯიბრებას თავი დაანება. ისინი თბილ საბნებში გახვეულნი იწვნენ ფინიშისკენ მიმავალ მაშველ კატარღებში.

გამარჯვებულთა საპრიზო სამეულში ვაჟებიდან შევიდნენ მოსკოველები ა. კრასნიკოვი (შარშანდელი გამარჯვებული), ა. კრიუკოვი და ვ. ბარდაშევიჩი. ქალთა მარათონული შეჯიბრებების ისტორიაში საუკეთესო დროით გაიმარჯვა 24 წლის როსტოველმა ინჟინერმა ნ. პეტუხოვამ — 48.55,0. მეორე იყო ტალინელი ი. რაუდიკი, მესამე — ვ. კუზნეცოვა მოსკოვის ოლქიდან.

მეორე დღეს პარიზის გაზეთები წერდნენ, რომ მარათონში გამარჯვებულმა საბჭოთა მოცურავემ კრასნიკოვმა (1:42.20,3) თავისი უახლოესი მეტოქე 300 მეტრით ჩამოიტოვა. „კრასნიკოვი დინჯად ამოვიდა ნაპირზე, წყალი გადაიღო, გადაიცვა და მალე დაბრუნდა ფინიშთან, რათა ნაპირიდან მისალმებოდა თავის დაგვიანებულ მეტოქეებს“.

სამხედრო მოსამსახურე, 21 წლის ა. კრასნიკოვი უკვე ევროპის ოთხგზის ჩემპიონია წყალქვეშ ცურვაში. ამ შეჯიბრებაში მან მარტო მარათონში როდი გამოიჩინა თავი. კრასნიკოვი მონაწილეობდა სწრაფცურვაში (ამ სახეობაში შეჯიბრება მორის ტორეზის სახელობისა და ეროვნული სპორტის ინსტიტუტის აუზებში ტარდებოდა) და 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა (ფარფლებით 100 მეტრზე ცურვაში — 42,8, 200 მ — 1.39,6, 1850 მ — 18.53,5). კრასნიკოვი გამოვიდა გუნდის სახელითაც, რომელმაც მსოფლიო რეკორდები დაამყარა 4×100 და 4×200 მეტრზე ესტაფეტებში.

კიდევ სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს კრიუკოვმა, ბარდაშევიჩმა და პეტუხოვამ.

ამ შეჯიბრებით დამთავრდა სეზონი საბჭოთა წყალქვეშ მოცურავეებისთვის, რომლებმაც საერთო ჯამში წლეულს 27-ჯერ მოიპოვეს მსოფლიოში საუკეთესო შედეგები.

ვ. პიმენოვი.

პარიზი.

ჩვენ ბევრ რესპუბლიკებში

მრბოლელი გერბიანი ჩაფხუტით

ტალინში მუშაკთა დღეს — 10 ნოემბერს — ესტონეთის რესპუბლიკურ ავტოინსპექციაში ყველაზე მეტი მილოცვა უფროსმა ინსპექტორმა, ლეიტენანტმა ე. კიიზამ მიიღო. მას ურეკავდნენ სპორტის მოყვარულები, მეგობარი სპორტსმენები... არც გასაკვირია, რადგან ლეიტენანტი კიიზა ერთ-ერთი უძლიერესი მოტომბოლელია საბჭოთა კავშირში. იგი 14-ჯერ იყო საგზატკეცილო წრიულ რბოლაში საკავშირო პირველობათა პრიზიორი, ორჯერ ჩემპიონობაც მოიპოვა 350 კბ სმ-მდე კლასის მანქანებით.

ცნობილ მრბოლელს შინ აქვს ასობით დიპლომი, ესტონეთის ჩემპიონის 25 ოქროს მედალი გზატკეცილზე და იპოდრომზე რბოლაში, აგრეთვე, მოტოკროსში მოპოვებული წარმატებებისთვის.

— ტექნიკა ბავშვობიდანვე შემიყვარდა, — გვიამბობს კიიზა. — სოფლის სკოლაში მამაჩემის მოტოციკლით დავდიოდი. თავად ვიყავი ჩემი „რკინის ბედაურის“ კონსტრუქტორიც, მექანიკოსიც, გამომცდელიც. სკოლის დამთავრების შემდეგ ტალინის პოლიტექნიკუმის ავტოტრანსპორტის განყოფილებაც დავამთავრე.

ტექნიკის კარგი ცოდნა ლეიტენანტ კიიზას მილიციაში მუშაობაშიც ეხმარება. იგი გამოცდებს იბარებს მანქანის მართვასა და ქუჩაში მოძრაობის წესებში. ცნობილი მრბოლელი, მილიციის ლეიტენანტი კიიზა ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტია.

ბ. იასტრებოვი.

(საკადესის კორ.).

ტალინი.

კურჩენკოს სახელობისა

დუშანბე, 10 ნოემბერი. სპორტსაზოგადოებების — „ტაჯიკისტანის“, „ხოსილოტიხა“ და „სპარტაკის“ მთამსვლელთა ჯგუფმა ამ დღეებში მოაწყო ასვლა ოსმან-თალის მასივის გისარის ქედის ერთ-ერთ ჯერ დაუპყრობელ მწვერვალზე, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მეტია. მთამსვლელებმა ამ მწვერვალს მამაცი კომკავშირელის ნადეჟდა კურჩენკოს სახელი უწოდეს.

ახალი პროდუქცია

რიგა, 10 ნოემბერი. ფაბრიკა „დინამომ“ ლიტვაში, ესტონეთში, მოსკოვის, კალინინგრადისა და სხვა ოლქებში გაგზავნა ახალი პროდუქცია — მრავალფენოვანი თხილამურები. ეს თხილამურები ბევრად გამძლე, ელასტიკური და მსუბუქია ჩვეულებრივთან შედარებით და ამიტომ ზამთრის სპორტის მოყვარულთა, გეოლოგთა და მონადირეთა შორის დიდი მოწონებითაც სარგებლობს.

წლის ბოლომდე ფაბრიკა 70 ათას წყვილზე მეტ ასეთ თხილამურს გამოუშვებს, შემდგომ კი მათი წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება.



ახალი ადგილი ჩვენს ოლიმპიადებზე

სტუდენტთა ახალსახლობა

ახლახან ამ უნიკალურ სასახლეს მოსკოვის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის სტუდენტები დაეპატრონენ.

მომავალში მთელი ინსტიტუტი გადავა ახალ სასწავლო კორპუსში და სპორტულ ნაგებობებში. ჯერჯერობით კი მზადაა მხოლოდ ხუთი საწვრთნელი ტანვარჯიშული დარბაზი. ორს იშვიათი ზომები აქვს — 42×24 მ (სიმაღლე 7 მ). კედელი, რომელიც ქუჩის მხარეს გამოდის, მთლიანად მინისაა. დანარჩენი სამი დარბაზი შედარებით მცირე ზომისაა.

ყველა ეს ნაგებობა უზრუნველყოფილია ოლიმპიური ნიმუშების ტანვარჯიშული იარაღებით. საინტერესო სიახლე: ორ დარბაზში ბატუტი იატაკის სიმაღლეზეა დაგებული.

ახლა მშენებლები ახალი ბაზის დანარჩენ 9 დარბაზში მუშაობენ. აქ იმეცადინებენ ფარიკაობის, ძალოსნობის, ჭიდაობისა და სპორტული თამაშების კათედრების სტუდენტები.

სურათებზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი შენობა იზმაილოვოში; ტანმოვარჯიშეთა საწვრთნელი დარბაზი.

რ. ალფიმოვის ფოტო (აას-ა).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება



არც ერთი ახალი სახელი

შაიდარებითა და კანონებით ნიჩბოსნობა სსრ კავშირის ხალხთა ყველა სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა პირველ სპარტაკიადაში V, ხოლო მომდევნო სპარტაკიადებში VI ადგილები დაიკავეს. ნაკრების სელმძღვანელები ამ უკან დახევას სპორტსმენთა უკმარი ფიზიკური მომზადებით ხსნიდნენ. ამიტომ ნიჩბოსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ სათანადო ღონისძიება დასახა. სავალდებულო გახდა, რომ სპორტსმენებმა შეჯიბრების წინ საერთო ფიზიკურ მომზადებაში ჩააბარონ გამოცდა. ის, ვინც საერთო ფიზმომზადებაში მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, საასპარეზოდ არ დაიშვება.

ასე იყო ამას წინათ ქუთაისში, გუშათის ზღვაზე გამართულ რესპუბლიკურ პირად-გუნდურ ჩემპიონატშიც. ეს შეჯიბრება წლეულს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ძალთა უკანასკნელი შემოწმება იყო და, ცხადია, მისგან ბევრსაც ველოდით. მაგრამ იმედი არ გამართლდა. „ბურევესტნიკს“ სარბიელზე ქალები არ გამოუყვანია. სრული გუნდი არც „ვოდნიკს“ ჰყავდა, „შრომითი რეზერვებიდან“ კი მხოლოდ ერთმა კაცმა აიღო სტარტი.

საერთო ფიზმომზადებაში მოსაპარეზე ვაჟებს 3000 მეტრი 11 წუთსა და 30 წამში მაინც უნდა დაეფარათ და ღერძზე 20-ჯერ აზიდულიყვნენ. ქალებს 2000 მეტრზე რბენაში 9 წუთი უნდა ეჩვენებინათ და დაბალ ღერძზე 30-ჯერ უნდა აზიდულიყვნენ. ეს ნორმატივები ბევრმა ვერ შეასრულა. მათ შორის იყო რესპუბლიკის ბარშანდელი ჩემპიონი, სპორტის ოსტატი კ. ლოსანკინიც („ლოკომოტივი“). მან ღერძზე აზიდვა 11-ჯერ ძლივს შეძლო. კიდევ უფრო სუსტად გამოვიდა ბ. თათარაშვილი („კოლმეურნე“), რომელმაც ძლივს შეძლო 9-ჯერ აზიდვა. მ. მამაცაშვილმა („ბურევესტნიკი“), ვ. კურნოსოვმა და ვ. ტარნავოროცკიმ (ორივე — „დინამო“) რბენის დისტანცია ვერ დაამთავრეს.

ბრძოლაში პირველად 500 მეტრზე მოსაპარეზე ქალები ჩაებნენ. ერთადგილიანი ბაიდარებით ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო არმიელმა ლ. ბესპალოვამ, მაგრამ მისი შედეგი მაინც დაბალი იყო, რაც პირქარმა გამოიწვია.

როცა დაიწყო შეჯიბრება პროგრამის მეხუთე სახეობაში — ორადგილიანი კანოებით 1000 მეტრზე ვაჟთა რბოლაში, ქარი ჩადგა და მაჩვენებლებიც საგრძნობლად ამაღლდა. „ვოდნიკის“ დუეტმა (ზ. ხოფერია — ნ. ჩარაევი) სპორტის ოსტატის შედეგით გაიმარჯვა.

ორადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში ჩემპიონობის პრეტენდენტად ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ა. მატკავასა და სპორტის ოსტატ ვ. კრატასიუკის წყვილს (ასკ) ასახელებდნენ. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, სპორტის ოსტატის შედეგით გაიმარჯვა ვ. პიატკოვსკისა („შრომითი რეზერვები“) და ხ. ცხოვრებოვის („ლოკომოტივი“) დუეტმა.

საინტერესო იყო ერთადგილიანი კანოებით 1000 მეტრზე რბოლა. საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონს თ. ჩიტაიას („ბურევესტნიკი“) გამარჯვებას თანაგუნდელი ვ. მაკაროვი ეცილებოდა. სტარტიდან ჩიტაია დაწინაურდა შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო მაკაროვმა, მაგრამ ფინიშამდე 200 მეტრი რომ დარჩა, ნაკაროვმა ტემპს ვეღარ გაუძლო და ჩიტაიამ გაიმარჯვა.

ცალკეულ სახეობებში მონაწილეთა რიცხვი ძალიან მცირე იყო. ორადგილიანი შაიდარებით 6 ქალი ასპარეზობდა, ხოლო ვაჟთა შეჯიბრების სტარტზე 5 ეკიპაჟი გამოვიდა. ოთხადგილიანი ბაიდარებით ვაჟთა შეჯიბრებაში მხოლოდ 3 ეკიპაჟი ჩაება.

ამ ტურნირს ჩვენთვის არ გაუცვნია არც ერთი ახალი სახელი, სარბიელზე არც ერთი პერსპექტიული სპორტსმენი არ გამოსულა.

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ამიერკავკასიის ხალხთა ლენინური ოლქის სპორტკლუბის ნაკრებმა (12 ქულა). არმიელებმა პროგრამით გათვალისწინებული 7 სახეობიდან ოთხში გამარჯვება იზეიმეს, ამასთან, ორ-ორი II და III ადგილი მოიპოვეს. მეორე იყო „ვოდნიკი“ — 24 ქულა, მესამე — „დინამო“ — 31 ქულა.

ა. ბურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.



ტექნიკური შედეგები

ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. **500 მ.** ლ. ბესპალოვა (ასკ) — 3.00,0, ნ. ლუცენკო („ვოდნიკი“) — 3.12,0, ს. გერასიმენკო (ასკ) — 3.13,0; ორადგილიანი ბაიდარა. **500 მ.** ბესპალოვა, გერასიმენკო — 2.26,0, ლუცენკო, ნ. კობონანვა („ვოდნიკი“) — 2.31,0, ხ. ხაზალია, ი. პასანოვა („განთიადი“) — 2.33,4.

ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა. **1000 მ.** დ. ბუკლოვი — 4.04,0, ვ. სკოტარენკო (ორივე — ასკ) — 4.04,8, ხ. ცხოვრებოვი („ლოკომოტივი“) — 4.06,2; ორადგილიანი ბაიდარა. **1000 მ.** ვ. პიატკოვსკი („შრომითი რეზერვები“), ცხოვრებოვი — 3.35,0, ვ. კრატასიუკი, ა. მატკავა — 3.43,0, ბ. ცბოლოცკი, შ. ივანოვი („ვოდნიკი“) — 3.50,5; ოთხადგილიანი ბაიდარა. **1000 მ.** ასკ (მატკავა, კრატასიუკი, სკოტარენკო, ბ. ვიშნიაკოვი) — 3.18,0, „ლოკომოტივი“ (ცხოვრებოვი, ო. მარეხაშვილი, ვ. როსტიაშვილი, ვ. ამიოტოვი) — 3.33,8, „დინამო“ (თ. ბუზიაშვილი, ვ. ჩხიკვაძე, ა. ფოკინი, ა. პლუჟნიკოვი) — 3.51,0; ერთადგილიანი კანოე. **1000 მ.** თ. ჩიტაია — 4.40,4, ვ. მაკაროვი — 4.42,1, ზ. ხოფერია — 4.43,5; ორადგილიანი კანოე. **1000 მ.** ხოფერია, ნ. ჩარაევი — 3.59,0, მაკაროვი, ს. სირია („ბურევესტნიკი“) — 4.01,0, ნ. გალკინი, გ. შაჰნაზარიანი (ასკ) — 4.06,3.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ოთხადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში გამარჯვებული არმიელთა ეკიპაჟი; მარჯვნივ — ერთადგილიანი ნავებით მოსაპარეზე ქალები დისტანციაზე.

ავტორის ფოტო.

„ფოლადი“ ფოლადობს

რუსთავის საქალაქო სპარტაკიადაში სპორტკლუბ „ფოლადის“, სპორტსაზოგადოებების „განთიადის“, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები, განათლების განყოფილებისა და ქიმიური კომბინატის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სპარტაკიადის პროგრამაში 14 სახეობა იყო. კალათბურთელ ქალთა შორის თავი ისახელა „ფოლადის“ გუნდმა, რომელმაც დაამარცხა განათლების განყოფილების (60:51), „დინამოს“ (57:19), „სპარტაკისა“ (39.17) და ქიმიური კომბინატის (56:10) სპორტსმენები (განთიადელები სათამაშოდ არ გამოცხადდნენ, ხოლო „შრომითი რეზერვების“ გუნდი არ ჰყავდა).

ვალში არც „ფოლადის“ ვაჟთა ნაკრები დარჩა. მან სძლია „შრომითი რეზერვების“ (92:16), „სპარტაკის“ (99:39), ქიმიური კომბინატ ი ს (52:31), განათლების განყოფილების (56:53), „განთიადის“ (53:26) და „დინამოს“ (74:33) წარმომადგენლებს და I ადგილი დაიკავა.

ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ქიმიური კომბინატის გუნდმა, ხოლო ვაჟთა შორის — „ფოლადმა“.

ხელბურთელ ქალთა ტურნირი არ გამართულა, კინაიდან გუნდი მხოლოდ განათლების განყოფილებას ჰყავდა, ვაჟთა შორის კი ყველას აჯობეს განათლების განყოფილების სპორტსმენებმა.

მძლეოსნობაში გუნდური პირველობა წილად ხვდა „ფოლადს“.

მოკრივეთა ასპარეზობაში გაიმარჯვა „დინამომ“. წონით კატეგორიებში პირველნი იყვნენ. ე. ნეკეევნკო (ქიმიური კომბინატი), პ. კვარაცხელია („შრომითი რეზერვები“), ო. გელაშვილი („განთიადი“), რ. კილდიაროვი, შ. გაგიევი (ორივე — „დინამო“), ვ. ბაკლაგოვი („შრომითი რეზერვები“), ტ. ბავრინი („დინამო“), შ. მაგარამოვი (ქიმიური კომბინატი).

ტანვარჯიშში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „ფოლადი“. სპორტის ოსტატობის კანდიდატ ქალთა შორის გაიმარჯვა ს. კოვალიოვამ (განათლების განყოფილება), პირველთანრიგოსანთა შორის — ლ. კედელაშვილმა („ფოლადი“), ხოლო პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის ყველას აჯობა გ. ციქლაშვილმა („ფოლადი“).

„ფოლადის“ ძალოსნებს გუნდურ ტურნირში ბადალი არ ჰყავდათ. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. კობიაშვილი („დინამო“), ბ. კასრელიშვილი, გ. მენთეშაშვილი (ორივე — „ფოლადი“), ტ. კასრაძე („განთიადი“), ა. სარბაში („ფოლადი“), შ. ლომიძე („დინამო“).

30 კილომეტრზე გუნდურ ველორბოლაში გაიმარჯვა „ფოლადმა“. 50 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო ი. კრასავცევმა („განთიადი“). გუნდური I ადგილი აქაც „ფოლადმა“ მოიპოვა.

თავისუფალ, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაშიც ყველას აჯობეს „ფოლადის“ წარმომადგენლებმა.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: ი. მიტიჩაშვილი („შრომითი რეზერვები“), ა. მენაბდიშვილი („ფოლადი“), ტ. ივანეიშვილი, რ. ალთუნაშვილი (ორივე — „შრომითი რეზერვები“), გ. ჯანდიერი, ხ. ქერდიყაშვილი (ორივე — „ფოლადი“), შ. მაისურაძე („ქიმიური კომბინატი“), გ. ლოლაშვილი, თ. ხინჩილაშვილი, ა. ჯაპუაშვილი (ყველა — „ფოლადი“).

კლასიკურ ჭიდაობაში საუკეთესონი იყვნენ: ო. კაპანაძე („ფოლადი“), ა. მენაბდიშვილი, გ. ყაველაშვილი („განთიადი“), ზ. ქაძანაია, თ. ავლოხაშვილი, რ. გოგოლაძე (ყველა — „ფოლადი“), გ. ჩაქაიშვილი („განთიადი“), კ. სპანდერაშვილი (ქიმიური კომბინატი), თ. ხინჩილაშვილი და გ. შიმინოშვილი („ფოლადი“).

ქართულ ჭიდაობაში მძიმე წონის ათლეტი არავის გამოუყვანია. ჩემპიონები შვიდ წონაში გამოვლინდნენ. ესენი არიან: მ. გაბინაშვილი („სპარტაკი“), თ. ჯაჯიაშვილი („ფოლადი“), რ. მჭედლიძე („სპარტაკი“), თ. ავლოხაშვილი, ზ. დორეული (ქიმიური კომბინატი), გ. მაზანაშვილი („დინამო“), ო. ადლაბაძე („სპარტაკი“).

ტყვიის სროლაში გაიმარჯვა „დინამომ“, ფარიკაობაში — „განთიადმა“, ჭადრაკში — „ფოლადმა“.

საერთო ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი წილად ხვდა „ფოლადს“ — 147 ქულა. II ადგილზეა „დინამო“ — 105, III — ქიმიური კომბინატის ნაკრები — 93.

რ. გაბრიელიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

სუსტად, მოუმზადებლად

გრძელდება სოხუმის V საქალაქო სპარტაკიადა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ „განთიადის“, „დინამოს“, „სპარტაკის“, „ტრუდის“, „ლოკომოტივის“, განათლების განყოფილების, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა და გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენები.

სპარტაკიადის ნახევარმა უკვე განვლო. 385 ქულით ლიდერობს „დინამოს“ კოლექტივი. II ადგილზე არიან პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები (204 ქულა), III — განათლების განყოფილების წარმომადგენლები (146). უფერულად გამოდიან „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები, რომლებს აც მხოლოდ 9 ქულა აქვთ.

სპარტაკიადა გახსნეს მოცურავეებმა. მათი პირად-გუნდური პირველობა „განთიადის“ საწყლოსნო სადგურში ჩატარდა. სარბიელზე გამოვიდა 64 სპორტსმენი. I თანრიგის ნორმატივების შესაბამისი შედეგები მხოლოდ დინამოელმა ა. ზელინსკიმ აჩვენა (100 მ თავისუფალი სტილით — 1.01,0 და ბატერფლაიით — 1.09,0).

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“, განათლების განყოფილება, „განთიადი“. სხვა კოლექტივები სუსტად გამოვიდნენ. მიზეზი ის არის, რომ სოხუმელ მოცურავეებს არა აქვთ სისტემატური ვარჯიშის პირობები. ამაზე რამდენიმეჯერ იმსჯელეს, დადგენილებაც მიიღეს, პრესაშიც დაიწერა, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი ისევ მოუგვარებელია. გათბობის სისტემის უქონლობის გამო სოხუმის საცურაო აუზში ზამთრობით შეცადინეობა არ ტარდება.

მოცურავეები წყალბურთელებმა შეცვალეს. ასპარეზობდა 7 კოლექტივი (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს გუნდი არ გამოუყვანია). ვერც წყალბურთელებმა ისახელეს თავი, რადგან სოხუმში წყალბურთის არც ერთი სექცია არ მუშაობს. სახელდახელოდ შეკოწიწებული გუნდების შეჯიბრება მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო. სპარტაკიადის პრიზიორები გახდნენ „განთიადი“, „ტრუდი“, „დინამო“.

მძლეოსანთა პირველობაში 106 სპორტსმენი ჩაება („ლოკომოტივს“ წარმომადგენლები არ გამოუყვანია). I ადგილი დაიკავეს დინამოელებმა, II და III ადგილებზე გავიდნენ პედაგოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა ვ. სანეევმა სიგრძეზე ხტომაში (770 სმ), პირველი თანრიგისა — სპორტის ოსტატმა ა. კოსტინმა (ორივე — „დინამო“). კოსტინმა 100 მ 10,7 წამში გაირბინა.

70 სპორტსმენი II და III თანრიგების შედეგებით დაკმაყოფილდა.

ველორბოლაში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, სპორტის ოსტატები ზ. ხოშტარია და ვ. აბშილავა უხეიროდ გამოვიდნენ. პირად შეჯიბრებაში ორივე დამარცხდა. გუნდურ ტურნირში პირველობა არავის დაუთმო „დინამომ“. II ადგილზეა „განთიადი“, III — განათლების განყოფილების ნაკრები.

კალათბურთელ ქალთა შორის გაიმარჯვეს სპარტაკელებმა, ვაჟებში კი სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

ხელბურთში შეჯიბრება „სპარტაკის“ მოედანზე ჩატარდა. სარბიელზე გამოვიდა ვაჟთა 5 და ქალთა 3 გუნდი. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში პირველობა „სპარტაკის“ სპორტსმენებმა მოიხვეჭეს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სოხუმში ხელბურთის მხოლოდ ერთი მწვრთნელია, რომელიც, ცხადია, ყველას ვერ გასწვდება.

ბ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

ასეთია კალენდარი

მოგვაყვანს საქართველოში ხაბეჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტურნირის კალენდარი.

15 ნოემბერი

„ბ“ კლასის I ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები. მატჩი შედგება გორში. დასაწყისი 15 ს.

„ბ“ კლასის II ნაკრები — „იმედის“ ნაკრები. რუსთავი, 15 ს. 30 წ.

საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები — თბილისის „დინამო“ (დუბლიორები). თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 13 ს.

17 ნოემბერი

საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები — „დინამო“ (დუბლიორები). გორი, 15 ს.

„იმედის“ ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები. რუსთავი, 15 ს. 30 წ.

„ბ“ კლასის I ნაკრები — „ბ“ კლასის II ნაკრები. თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 13 ს.

19 ნოემბერი

„ბ“ კლასის II ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები. რუსთავი, 15 ს. 30 წ.

საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები — „ბ“ კლასის I ნაკრები. თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 14 ს.

„დინამო“ (დუბლიორები) — „იმედის“ ნაკრები. თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 16 ს.

21 ნოემბერი

საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები — „იმედის“ ნაკრები. თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 13 ს.

„ბ“ კლასის I ნაკრები — „დინამო“ (დუბლიორები). რუსთავი, 15 ს. 30 წ.

„ბ“ კლასის II ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები. გორი, 15 ს.

22 ნოემბერი

საქართველოს ჩემპიონატის I ნაკრები — საქართველოს ჩემპიონატის II ნაკრები. რუსთავი, 15 ს. 30 წ.

„დინამო“ (დუბლიორები) — „ბ“ კლასის II ნაკრები. თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, 13 ს.

„იმედის“ ნაკრები — „ბ“ კლასის I ნაკრები. გორი, 15 ს.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

სტუმრებმა სწრაფად, აქტიურად დაიწყეს თამაში და ტოგონიძემ მე-12 წუთზე გახსნა კიდეც ანგარიში. შემდგომში მანვე მეორე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში. 61-ე წუთზე ქვირიამ შეძლო განსხვავების შემცირება ანგარიშში, მაგრამ კაპანაძემ ისევ ორი ბურთით დააწინაურა „მეტალურგი“ — 3:1. დარჩენილ დროში თერჯოლელები მონდომებით უტევდნენ, კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს (ბაბუნაშვილი), მაგრამ წაგებას მაინც ვერ დააღწიეს თავი.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ა. ჯანნაშვილი (თბილისი).

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თერჯოლა).

ორივე მხარე თამაშობდა მონდომებით, ხშირი იერიშებით. სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მელიქიძემ გაიტანა 87-ე წუთზე.

● „სქური“ (წალენჯიხა) — ახკ (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. ბოლოხიანი (ხოსუმი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ა. ჭეუასელი (თბილისი).

უკვე მე-14 წუთისთვის მეტოქეთა კარში თითო ბურთი იქნა გატანილი. შესვენების შემდეგ ცხაკაიელმა ქაჩიბაიამ შეძლო გადამწყვეტი ბურთის მოთავსება სტუმართა კარის ბადეში.

● „სინათლე“ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 3:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ხამცხე“ (აწყური) 6:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

• • •

ზუგდიდის „ენგურს“ მოგება მიეკუთვნა ახალციხის „მესხეთთან“.

• • •

II ჯგუფის II ზონაში მაიაკოვსკის „სარმემ“ მოუგო ხაშურის „ივერიას“ — 2:1.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 12 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	40	25	9	6	81—50	59
„ლოკომოტივი“ (ხაშტრედია)	40	24	9	7	84—34	57
ფიზა. ინსტ. (თბილისი)	40	22	13	5	79—39	57
„ეგრისი“ (ცხაკაია)	39	23	8	8	69—36	54
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	40	19	12	9	65—41	50
„სინათლე“ (თბილისი)	39	17	14	8	68—42	48
„სქური“ (წალენჯიხა)	40	19	10	11	58—39	48
„ისანი“ (თბილისი)	40	14	17	9	46—38	45
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	40	15	12	13	53—62	42
„მზიური“ (გალი)	40	11	19	10	46—42	41
„ხამცხე“ (აწყური)	37	13	14	10	40—39	40
ახკ (თბილისი)	41	15	9	17	46—52	39
„ქართლი“ (გორის რაიონი)	40	12	14	14	55—57	38
„იმერეთი“ (თერჯოლა)	40	12	12	16	47—42	36
„გიგანტი“ (ლაითური)	40	10	16	14	44—62	36
„ვარკეთილი“ (გარდაბანი)	41	10	14	17	38—48	34
„ენგური“ (ზუგდიდი)	39	8	15	16	26—48	31
„ცისკარი“ (სიღნაღი)	40	8	14	18	26—47	30
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	40	5	17	18	41—71	27
„მშენებელი“ (ბორჯომი)	39	7	8	24	38—72	22
„მაღაროელი“ (ქიათურა)	39	6	10	23	43—79	22
„მესხეთი“ (ახალციხე)	40	4	10	26	42—95	18

II ჯგუფი

II ზონა

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი“ (ხობი)	24	15	7	2	45—18	37
„ივერია“ (ხაშური)	24	15	7	2	43—16	37
„დინამო“ (ქუთაისი)	24	11	5	8	38—25	27
„სოლმეურნე“ (ჩხოროწყუ)	24	8	11	5	27—20	27
„ჰორიზონტი“ (ბათუმი)	24	10	5	9	30—26	25
„ოდიში“ (ზუგდიდი)	24	8	7	9	23—27	23
„ბანახლება“ (ადიგენი)	24	9	5	10	26—31	23
„სარმე“ (მაიაკოვსკი)	24	9	5	10	32—40	23
„ჩიხურა“ (ხაჩხერე)	24	8	4	12	28—34	20
„კოლმეურნე“ (ქედა)	24	6	7	11	21—37	19
„ბანთიადი“ (აბაშა)	24	3	11	10	18—30	17
„ხამგურალი“ (წყალტუბო)	24	5	7	12	28—41	17
„მექანიკოსი“ (ხაშტრედია)	24	7	3	14	31—45	17

შენიშვნა: პირველი ადგილის გამოხავლინებლად ხობის „კოლხეთსა“ და ხაშურის „ივერიას“ შორის დაინიშნება დამატებითი შეხვედრა ნეიტრალურ სტადიონზე.

ბოლო ტური გამოარკვევს

სიმფეროპოლი, 11 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დასასრულს უახლოვდება ჭაბუკ ფეხბურთელთა ხაკავშირო შეჯიბრების ფინალური ტურნირი „იმედის თასზე“.

ბოლოხწინა ტურში გათამაშების ლიდერმა — უკრაინის გუნდმა იოლად მოუგო სოხუმელთა ნაკრებს — 3:0.

განსაკუთრებით დაძაბული იყო მომდევნო შეხვედრები საქართველოსა და მოლდავეთის, აგრეთვე, ბელორუსიისა და რსფსრ-ს გუნდებს შორის. საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:2 სძლიეს მეტოქეს, ხოლო ბელორუსიელებმა დაამარცხეს რსფსრ-ს ნაკრები — 2:1.

ახლა ყველაფერს გადაწყვეტს ბოლო ტურის შეხვედრები. უკრაინელებს 7 ქულა აქვთ, ხოლო საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს — 6-6.

ბოლო ტურში თამაშობენ უკრაინა — საქართველო, ბელორუსია — მოლდავეთი. ეს მატჩები შედგება 13 ნოემბერს.

სასტიკი გრძოლა — უდისციპლინოგას!

ექვს თვეს გაგრძელდა აჭარის ჩემპიონატი ფეხბურთში.

კარგად აიღეს სტარტი ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, სოფ. ახალშენის კოლმეურნეობის (ხელვაჩაურის რაიონი), ბათუმის გემთსაშენი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების გუნდებმა.

დამთავრდა „გათამაშება, შეივსო ცხრილი, გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩამორჩენილნი, მაგრამ საგანგებო საუბრის ღირსია ის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა კალენდარული მატჩების მსვლელობაში.

განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი წესრიგის დარღვევის შემთხვევებს, რომლებიც საკმაოდ ხშირი იყო. მაგალითად, სამარცხვინო ამბავი მოხდა ჩაქვში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ლიდერები — ადგილობრივი ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ახალშენის კოლმეურნეობის გუნდები. 62-ე წუთზე, როცა ანგარიში გახდა 2:1 ჩაქველთა სასარგებლოდ, ახალშენელმა ფეხბურთელებმა მსაჯის გადაწყვეტილება უსწოროდ მიიჩნიეს და მოსთხოვეს მას შეეცვალა იგი. 15 წუთს გაგრძელდა სტუმრების ეს ყოვლად დაუშვებელი აყალ-მაყალი, რის შემდეგ ბათუმელმა არბიტრმა ნ. შანიძემ ახალშენელთა გუნდი თამაშიდან მოხსნა. ამ დროს ხულიგნური საქციელი ჩაიდინეს გ. წულუკიძემ და გუნდის კაპიტანმა ჯ. გოგიტიძემ, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს არბიტრს. ახალშენის ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ამ უმგვანო ინციდენტიდან.

ასეთივე სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის გუნდის მეკარე ი. დემირჩვემა ბათუმის გემთსაშენი ქარხნის კოლექტივთან თამაშის დროს. მან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

სხვადასხვა დანაშაულის გამო მინდვრიდან გაძევებული იქნენ აგრეთვე ლ. კალანდარიშვილი (ბათუმის გემთსაშენი ქარხანა), ლ. გუჯაბიძე, გ. მწკვიდობაძე, გ. ფარტენაძე (ახალშენი), ო. ძნელაძე, ლ. ტერნიუკი, ლ. ქიგულიოვი (ოჩხამორი), თ. ყურშუბაძე, თ. კონცელიძე (ჩაისუბანი), ა. ბოლქვაძე (წინსვლა), ე. ჭანტურიშვილი (ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა) და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა უწესოდ იქცეოდნენ მწვრთნელებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი“ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გუნდის მწვრთნელმა ო. დევდარიანმა.

აჭარის ფეხბურთის ფედერაციამ იმსჯელა წესრიგის დამრღვევთა შესახებ. ახალშენის კოლმეურნეობის გუნდის მწვრთნელს რ. ხურმანიძეს მიეთითა, ი. დემირჩევსა და გ. წულაძეს საერთოდ აეკრძალათ ფეხბურთის თამაში. შესაფერისი სასჯელი დაედოთ სხვებსაც.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი კორ.).

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	16	12	2	2	32—15	26
ახალშენის კოლმეურნეობა (ხელვაჩაურის რაიონი)	16	11	3	2	27—13	25
გემთსაშენი ქარხანა (ბათუმი)	16	9	4	3	36—23	22
ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა (ბათუმი)	16	7	4	5	34—24	18
მანქანათსაშენი ქარხანა (ბათუმი)	16	3	8	5	19—18	14
წინსვლის კოლმეურნეობა (ხელვაჩაურის რაიონი)	16	5	3	8	19—22	13
ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა	16	4	4	8	19—22	12
ჩაისუბნის კოლმეურნეობა (ქობულეთის რაიონი)	16	4	3	9	20—36	11
ანგისა (ხელვაჩაურის რაიონი)	16	1	1	14	16—49	3

ჭაგუკეგმა ჭიდაოგა იციან

ამ შეჯიბრების მთავარი ღირსება მონაწილეთა სამრავლესა და ვრცელ გეოგრაფიულ ჩარჩოებში გამოიხატება. მართლაც, სასიამოვნოა, როცა უმცროსი ასაკის ჭაბუკ (1955-56 წლებში დაბადებულნი) „კლასიკოსთა“ რესპუბლიკურ პირად პირველობაში ძალას 120-მდე ათლეტი ცდის. სასიამოვნოა ისიც, რომ 30 საპრიზო ადგილი 9 ქალაქისა და რაიონული ცენტრის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. როცა პრიზიორთა რიგებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის ან სხვა რომელიმე დიდი ქალაქის წარმომადგენლები ავსებენ, ეს სავსებით გასაგებია. ხოლო, როცა უძლიერესთა შორის ადგილებს ონის, წყალტუბოს, მახარაძის ან ხაშურის სპორტსმენები იკავებენ, ეს უკვე ნიშნავს, რომ საქართველოს რაიონებში კლასიკური ჭიდაობა უყვართ და ხალისიანადაც ეტანებიან მას.

ერთი სიტყვით, უმცროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკურმა პირველობამ როგორც მწვრთნელებსა და სპეციალისტებზე, ისე ჭიდაობის გულშემატკივრებზე საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. ამის მიზეზი იყო კარგად მოწყობილი ტურნირი, ზუსტი მსაჯობა და მოხალისეთა მაღალი ოსტატობა.

საგანგებო ქებას იმსახურებენ გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები (მწვრთნელი ვ. მაისურაძე). საქმე ისაა, რომ ინტერნატში ამ ასაკობრივი კატეგორიის ერთადერთი ჯგუფია გახსნილი. ამიტომაც სამტრედიაში მხოლოდ 6 ინტერნატელი ათლეტი გამოდიოდა. ამ ექვსეულიდან სამმა I ადგილი დაისაკუთრა, ერთმა — III.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნორჩმა ქუთაისელმა ათლეტებმაც (მწვრთნელი ი. ბობოხიძე). 3 საპრიზო ადგილი (ორი — I, სამი — II და სამიც — III) იმის დასტურია, რომ ქუთაისში უყვართ ჭიდაობა და სათანადო ყურადღებასაც აქცევენ რეზერვის დაოსტატებას.

ახლა კი გავეცნოთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქალაქებს შორის.

	I ადგ.	II ადგ.	III ადგ.
№ 1 სპორტ. ინტერნატი	3	—	1
ქუთაისი	2	3	3
თბილისი	1	4	4
მახარაძე	1	1	—
ხაშური	1	1	—
ბათუმი	1	—	1
წყალტუბო	1	—	—
ონი	—	1	—
რუსთავი	—	—	1

ნ. ახვლედიანი.

ტექნიკური შედეგები

48 კგ. 1. მ. მაისურაძე (ინტერნატი), 2. გ. ედიბერიძე (ქუთაისი), 3. ა. ჩაღუნელი (რუსთავი).

52 კგ. 1. გ. ბალიაშვილი (ინტერნატი), 2. გ. თევაძე (თბილისი), 3. ვ. ტიბილაშვილი (ქუთაისი).

56 კგ. 1. ა. შეყრილაძე (ქუთაისი), 2. გ. ხახიაშვილი (ხაშური), 3. გ. ჯანელიძე (ბათუმი).

60 კგ. 1. ნ. აფაქიძე (ბათუმი), 2. ი. ზურაბიანი (მახარაძე), 3. გ. ქოზაშვილი (ინტერნატი).

65 კგ. 1. ე. კუხალეიშვილი (წყალტუბო), 2. გ. ყაკურიძე (ქუთაისი), 3. გ. გელაშვილი (თბილისი).

70 კგ. 1. გ. ახათიანი (ქუთაისი), 2. ა. კალანდაძე (თბილისი), 3. ვ. ბერეაშვილი (თბილისი).

75 კგ. 1. ი. ხახიაშვილი (თბილისი); 2. ბ. მეტრეველი (ონი), 3. ა. რაზმაძე (ქუთაისი).

81 კგ. 1. დ. სანაკიძე (ინტერნატი), 2. ვ. გოგიაშვილი, 3. ვ. რჩეულიშვილი (ორივე — თბილისი).

87 კგ. 1. გ. მეტიკაშვილი (ხაშური), 2. ტ. ტურიშვილი (თბილისი), 3. მ. სალდაძე (ქუთაისი).

მძიმე. 1. ო. ბოლქვაძე (მახარაძე), 2. ვ. აკოფოვი (ქუთაისი), 3. გ. ცუცქირიძე (თბილისი).

სპორტული ლოტოს სტარტები

თუ სპორტის მოყვარული ხართ, სცადეთ გაანაწილოთ თქვენი სიმპათიები ფეხბურთს, ბიატლონს, ცხენოსნობას, სამბოს, ბადმინტონსა და ჰოკეის შორის... ეს საქმე მთლად უანგარო არ გახლავთ — თუ ბედმა გაგიღიმათ, შეიძლება 5000 მანეთი მოიგოთ. საამისოდ სულ 30 კაპიკი დაგჭირდებათ.

დაინტერესდით? მაშინ მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირის სპორტული ლატარიის სპორტული ლოტოს ბარათების გაყიდვა. თითოეული ეს ბარათი შედგება 49 უჯრაზე (სპორტის 49 სახეობის სიმბოლო) განლაგებული სამი ნაწილისგან. ამ სამივე ნაწილზე ჯვარედინად უნდა გადახაზოთ ექვსი უჯრა, პირველი ნაწილი თქვენთვის დაიტოვოთ, დანარჩენი კი ჩაუშვით სპორტული ლოტოს ყუთებში, რომლებიც საგანგებოდ დაიდგმება კავშირგაბმულობის განყოფილებებში.

ტირაჟი ყოველ ათ დღეში ეწყობა. თუ სპორტის ექვსივე სახეობას ამოიცნობთ, მოიგებთ 5000 მანეთს, თუ ხუთს ამოიცნობთ — ცოტა ნაკლებს... ოღონდ სამზე ნაკლები „გოლის გატანა“ არ შეიძლება. ტირაჟების შედეგები რეგულარულად გამოქვეყნდება გაზეთებში, გამოცხადდება რადიოთი და ტელევიზიით.

სპორტული ლოტოს ბარათების გაყიდვით მიღებული შემოსავალი მოხმარდება სტადიონების, სპორტული მოედნების მშენებლობას,— საბჭოთა სპორტის შემდგომ განვითარებას.

მაშ ასე, სპორტული ლოტოს თამაში მოსკოვში დაიწყება 10 ნოემბერს საკავშირო პირველობაზე „სპარტაკისა“ და „ხიმიკის“ ჰოკეისტთა გუნდების შეხვედრისას, შესვენების დროს მოეწყო სპორტული ლოტოს მესამე გათამაშება. ბედნიერი ციფრები — 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 21 (ცხენოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 33 (რეგბი), 42 (ძალოსნობა) და 45 (ფეხბურთი) ამოიღეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ვ. სტარშინოვმა და ვ. ნიკიტინმა.

შემდეგი ტირაჟი 20 ნოემბერს მოეწყობა.

უკვე 1971 წლის დამდეგს ამ მიმზიდველ თამაშში ამიერკავკასიის რესპუბლიკებიც ჩაებმებიან. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გეტყვით, სპორტის რომელი სახეობები აღმოჩნდება იღბლიანი თბილისში პირველი ტირაჟის გათამაშების დროს. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ წარმატება გისურვოთ.

ვ. ბუზანოვი,
სპორტული ლოტოს რეკლამისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

დაწინაურდნენ ფიშერი და ლარსენი

ესპანეთის იგარაკი პალმა დე მალიორკა საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ცნობილია, აქ სტარტი აიღო მსოფლიო პირველობის VIII საზონთაშორისო ტურნირმა. აი, როგორ განლაგდნენ მონაწილენი სატურნირო ცხრილში:

1. ლ. პოლუგაევსკი, 2. ე. გელერი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ბ. ივკოვი, 4. დ. მინიჩი (ორივე — იუგოსლავია), 5. ე. ხიმენესი (კუბა), 6. ტ. უიტუმენი (მონღოლეთი), 7. ა. რუბინეტი (არგენტინა), 8. ვ. ულმანი (გდრ), 9. მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), 10. დ. სათლზი (კანადა), 11. რ. ფიშერი (აშშ), 12. მ. ფილიპი, 13. ვ. ჰორტი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), 14. რ. ჰიუბნერი (გფრ), 15. ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), 16. უ. ადისონი (აშშ), 17. ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), 18. ო. პანო (არგენტინა), 19. ს. რეშევსკი (აშშ), 20. მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია), 21. ს. ნარანია (ფილიპინები), 22. ბ. ლარსენი (დანია), 23. ლ. პორტიში (უნგრეთი), 24. ე. მეკინგი (ბრაზილია).

II ტურიც სიურპრიზებით აღინიშნა. ფიშერმა შეძლო სმისლოვის დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ შავი ფერის ფიგურებით თამაშობდა. იმარჯვა 19 წლის მეკინგმაც: მან სძლია ერთ-ერთ ფავორიტს ჰორტს.

პირველი ქულა ჩაიწერა ლარსენმა: დანიელმა დიდოსტატმა მოუგო მინიჩს. ნარანიამ დაამარცხა ხიმენესი.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: პოლუგაევსკი — გელერი, პორტიში — ივკოვი, გლიგორიჩი — ტაიმანოვი, ჰიუბნერი — ფილიპი და პანო — ულმანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ფიშერი და ლარსენი — 1,5-1,5 ქულა.

მესამე პარტიაშიც ყაიმი

მოსკოვი, 10 ნოემბერი. ჭადრაკში სსრ კავშირის თასის პრეტენდენტებმა დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ა. შმიტმა (რიგა) დღეს ფინალური მატჩის მესამე პარტია გაითამაშეს. შეხვედრა ყაიმით დასრულდა და ანგარიში გახდა 1,5:1,5. სათამაშო დარჩა მეოთხე პარტია.

III ადგილისთვის ბრძოლაში ვ. სავონმა (ხარკოვი) და ლ. ალბურტმა (ოდესა) მესამე პარტია ითამაშეს, დილით კი წინადღით გადადებული მეორე პარტია დაამთავრეს. ხარკოველმა ოსტატმა თავისი უპირატესობა მოგებამდე მიიყვანა. მესამე პარტია მწვავედ წარიმართა და ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო.

მოსკოვი, 11 ნოემბერი. საკავშირო და ალბურტის გადადებულ პარტიაში მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, მეოთხე პარტიის შედეგის მიუხედავად, III ადგილი დაიკავა საკავშირო, რომელსაც 2,5 ქულა აქვს.

ოლიმპიადა

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲤᲘᲨᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ

ესპანეთის იგარაკი პალმა დე მალიორკა საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ცნობილია, აქ სტარტი აიღო მსოფლიო პირველობის VIII საზონთაშორისო ტურნირმა. აი, როგორ განლაგდნენ მონაწილენი სატურნირო ცხრილში:

1. ლ. პოლუგაევსკი, 2. ე. გელერი (ორივე — სსრ კავშირი), 3. ბ. ივკოვი, 4. დ. მინიჩი (ორივე — იუგოსლავია), 5. ე. ხიმენესი (კუბა), 6. ტ. უიტუმენი (მონღოლეთი), 7. ა. რუბინეტი (არგენტინა), 8. ვ. ულმანი (გდრ), 9. მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), 10. დ. სათლზი (კანადა), 11. რ. ფიშერი (აშშ), 12. მ. ფილიპი, 13. ვ. ჰორტი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), 14. რ. ჰიუბნერი (გფრ), 15. ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), 16. უ. ადისონი (აშშ), 17. ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), 18. ო. პანო (არგენტინა), 19. ს. რეშევსკი (აშშ), 20. მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია), 21. ს. ნარანია (ფილიპინები), 22. ბ. ლარსენი (დანია), 23. ლ. პორტიში (უნგრეთი), 24. ე. მეკინგი (ბრაზილია).

II ტურიც სიურპრიზებით აღინიშნა. ფიშერმა შეძლო სმისლოვის დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ შავი ფერის ფიგურებით თამაშობდა. იმარჯვა 19 წლის მეკინგმაც: მან სძლია ერთ-ერთ ფავორიტს ჰორტს.

პირველი ქულა ჩაიწერა ლარსენმა: დანიელმა დიდოსტატმა მოუგო მინიჩს. ნარანიამ დაამარცხა ხიმენესი.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: პოლუგაევსკი — გელერი, პორტიში — ივკოვი, გლიგორიჩი — ტაიმანოვი, ჰიუბნერი — ფილიპი და პანო — ულმანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ფიშერი და ლარსენი — 1,5-1,5 ქულა.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘᲪ ᲧᲐᲘᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ჭადრაკში სსრ კავშირის თასის პრეტენდენტებმა დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) და ა. შმიტმა (რიგა) დღეს ფინალური მატჩის მესამე პარტია გაითამაშეს. შეხვედრა ყაიმით დასრულდა და ანგარიში გახდა 1,5:1,5. სათამაშო დარჩა მეოთხე პარტია.

III ადგილისთვის ბრძოლაში ვ. სავონმა (ხარკოვი) და ლ. ალბურტმა (ოდესა) მესამე პარტია ითამაშეს, დილით კი წინადღით გადადებული მეორე პარტია დაამთავრეს. ხარკოველმა ოსტატმა თავისი უპირატესობა მოგებამდე მიიყვანა. მესამე პარტია მწვავედ წარიმართა და ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. საკავშირო და ალბურტის გადადებულ პარტიაში მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, მეოთხე პარტიის შედეგის მიუხედავად, III ადგილი დაიკავა საკავშირო, რომელსაც 2,5 ქულა აქვს.

ᲛᲔᲖᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲐᲚᲘ — ᲝᲡᲙᲐᲠ ᲑᲝᲜᲐᲕᲔᲜᲐ

7 დეკემბერს მუჰამედ ალი კვლავ გამოვა რინგზე. ამჯერად ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ მისი მეტოქე იქნება ლათინური ამერიკის ჩემპიონი, არგენტინელი ოსკარ ბონავენა. ნიუ-იორკში გამოსვლა კიდევ ერთი გამარჯვებაა ცნობილი სპორტსმენისა მას შემდეგ, რაც 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს და პატიმრობა მიუსაჯეს ვიეტნამში ბრძოლაზე უარის თქმის გამო.

მუჰამედ ალი ბონავენას სახიფათო მეტოქედ თვლის. მან კორესპონდენტებს განუცხადა, რომ არგენტინელის დამარცხება უფრო ძნელ საქმედ მიაჩნია, ვიდრე მოგება ჯერი ქვორისთან, რომელსაც 26 ოქტომბერს ატლანტაში შეხვდა. ეს იყო ალის დაბრუნება რინგზე. ახლა კი მას განზრახული აქვს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიბრუნოს.

ბონავენა ერთ-ერთ უძლიერეს მძიმე წონის მოკრივედ ითვლება. წლეულს მან ექვს მატჩში 5 გამარჯვება მოიპოვა. არგენტინელმა განაცხადა, რომ მუჰამედ ალისაც დაამარცხებს. პროფესიული რინგის დაუწერელი კანონების მიხედვით ბონავენას ფსიქოლოგიური იერიში მიაქვს მეტოქეზე: „პირველივე რაუნდიდან იერიშზე გადავალ. ალი ვერ გაუძლებს კორპუსში ძლიერ დარტყმებს, მოძრაობას შეწყვეტს და მაშინ მე მას ნოკაუტში ჩავაგდებ“.

ალის მწვრთნელი ბონავენასთან ბრძოლას აფასებს, როგორც თავისებურ მზადებას მთავარი შეხვედრისთვის — ჯო ფრეზერთან მატჩისთვის. როგორც ცნობილია, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ახლა ფრეზერს ეკუთვნის.

ამერიკელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ალისა და ბონავენას შეხვედრისადმი. დარბაზში, სადაც შეხვედრა უნდა შედგეს, 20 ათასი მაყურებელი ეტევა. ყველაზე იაფი ბილეთი 10 დოლარი ღირს, რინგის ახლოს კი ადგილები შვიდჯერ უფრო ძვირია.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲗᲐ „ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ“

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ჩოგბურთის საუკეთესო იაპონელმა ოსტატებმა ევროპაში „დაზვერვა“ მოაწყვეს 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ინგლისსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკმაო წარმატებით ჩატარებული გუნდური მატჩების შემდეგ იუგოსლავიის ღია ჩემპიონატში, რომელიც იაპონელთა ტურნეს მთავარი პუნქტი იყო, მათ პროგრამით გათვალისწინებული 7 ნომრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

თავისი მაღალი ოსტატობა დაამტკიცა მსოფლიო ჩემპიონმა ქალთა შორის ტ. კოვადამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ზ. რუდნოვა — 3:1. აზიელი სტუმრები კიდევ სამი ფინალის მონაწილენი იყვნენ. ვაჟთა შეჯიბრებაში „ამომავალი მზის ქვეყნის“ გუნდმა წააგო ევროპის ჩემპიონებთან — შვედებთან — 2:3. ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში ტ. ტასაკა და ტ. ინოუე დამარცხდნენ ინგლისელებთან დ. ნილთან და ჩ. ბარნსთან — 2:3. შერეულ წყვილებში ინოუე და კ. აბე დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელებმა ი. ტურაიმ და ი. ჯოშტოვამ — 3:1.

როგორც ვწერდით, მსოფლიო ჩემპიონმა — საბჭოთა ქალთა გუნდმა მოსკოველი ს. გრინბერგისა და რუდნოვას შემადგენლობით ფინალში მოუგო რუმინელებს — 3:1. ნახევარფინალში საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა დაამარცხეს იაპონელთა პირველი გუნდი — 3:1. ამასთან, გრინბერგმა გაიმარჯვა ერთეულთა ორივე შეხვედრაში, მათ შორის, დაამარცხა კოვადაც. რუმინელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს იაპონელთა მეორე ნაკრებს.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ევროპის ჩემპიონმა ჰ. ალსერმა დაამარცხა ბრწყინვალედ მოთამაშე იუგოსლავიელი ოსტატი მ. კარაკაშევიჩი — 3:2. ქალთა წყვილებს შორის ჩემპიონები გახდნენ მ. ალექსანდრუ და ე. მიხაკა.

იუგოსლავიის ღია ჩემპიონატში, სადაც 18 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიოდნენ, იაპონელები შეხვდნენ მაგიდის ჩოგბურთის ევროპული ელიტის წარმომადგენლებს. ტურნირმა დაადასტურა, რომ ევროპელები თამამად, თანაბარ დონეზე ებრძოდნენ აზიელ სტუმრებს.

იაპონელი ვაჟები ერთეულთა შეჯიბრების უკვე მეორე წრიდან ჩამორჩნენ. ჩეხოსლოვაკიელმა ი. კუნცმა მოუგო ტასაკას — 3:2, შვედმა ბ. პერსონმა — ინოუეს — 3:2. მეოთხედფინალში კარაკაშევიჩმა ბრწყინვალე სტილში აჯობა მსოფლიო ჩემპიონს ს. იტოს — 3:1. მერვედფინალში ასალგაზრდა შვედმა ს. ბენგტსონმა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ იაპონიაში იყო საწვრთნელად, დაამარცხა ერთ-ერთი თავისი მასწავლებელი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნ. ხასეგავა — 3:0, მაგრამ წყვილთა შეჯიბრებაში იაპონელებმა თავისებური მორალური რევანში აიღეს, როცა ი. იმანომ და აბემ აჯობეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს ალსერს და ჩ. იუქანსონს — 3:2.

რასაკვირველია, იაპონელ მოთამაშეებს ჯერ არ მიუღწევიათ თავიანთი ფორმის მწვერვალისთვის, რაც მათ მარტის ბოლოსთვის აქვთ დაგეგმილი. ამ დროისთვის იაპონიაში, ნაგოიში, სტარტს აიღებს მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. მაგრამ უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპელებს ახლა აზიური სკოლის მონოპოლიის შერყევის უფრო მეტი შანსი აქვთ.

ი. ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲘ.
(საკადესის კორ.).

ᲠᲝᲡᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲣᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ...

◆ **სტოკოლმი, 11 ნოემბერი.** შვეიცარიის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ ყოველწლიურად ოქროს მედლით აჯილდოვებს სეზონის საუკეთესო სპორტსმენს. 1970 წელს ეს საპატიო პრიზი უაღრესად ნიჭიერმა მოცურავემ, 19 წლის გ. ლარსონმა მოიხვეჭა. ლარსონმა ტრიუმფით იასპარეზა ბარსელონაში. იგი მსოფლიო რეკორდსმენია 400 მეტრზე თავისუფალი სტილითა და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, ხოლო ევროპის რეკორდსმენი — 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

მოსკოვის მიდამოებში ჩატარდა სსრ კავშირის პირველობა საშვეულმფრენო სპორტში, რაც სამხედრო-გამოყენებითი სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის. ამგვარი შეჯიბრება მხოლოდ სსრ კავშირში იმართება.

წლევანდელ ტურნირში მონაწილეობდნენ 7 მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვის წარმომადგენლები.

სურათებზე: სტარტის წინ. შეჯიბრების მონაწილენი, აშხაბადელები ა. როდიონოვი (მარჯვნივ) და რ. რიბალკო; შვეულმფრენები ასრულებენ ვარჯიშს მცირე სიმაღლეზე.

ვ. ბუდანისა და ა. იაკოვლევის ფოტო.
(საკადესი).



რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, **ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ** — თბილისი, „ლელო“. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.